საქართველოს მთავრობის

დადგენილება №455

2020 წლის 22 ივლისი

ქ. თბილისი

შერჩეული პირისათვის გადასახდელი საფასურის დეტალური სახეობების, მათი ოდენობების, გადახდის პერიოდულობისა და წესის განსაზღვრის შესახებ

მუხლი 1

„ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 36^1 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „შერჩეული პირისათვის გადასახდელი საფასურის დეტალური სახეობები, მათი ოდენობები, გადახდის პერიოდულობა და წესი“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**

შერჩეული პირისათვის გადასახდელი საფასურის დეტალური სახეობები, მათი ოდენობები, გადახდის პერიოდულობა და წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „შერჩეული პირისათვის გადასახდელი საფასურის დეტალური სახეობები, მათი ოდენობები, გადახდის პერიოდულობა და წესი“ (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს ნებართვის მფლობელის/მაძიებლის მიერ შერჩეული პირისათვის გადასახდელი საფასურის სახეობებს, მათ ოდენობებს, გადახდის პერიოდულობასა და წესს.

2. ნებართვის მფლობელი/მაძიებელი ვალდებულია, პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, გადაიხადოს დადგენილი ერთჯერადი საფასური შერჩეული პირის მიერ მომსახურების გაწევამდე, ხოლო ელექტრონული კონტროლის სისტემის ოპერირების (საოპერაციო) საფასური – ამ წესის მე-5 მუხლში მითითებული პერიოდულობით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ დადგენილების მიზნებისთვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ნებართვის მაძიებელი** – „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი, რომელიც აპირებს, განახორციელოს საქმიანობა სათამაშო აპარატების, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) თამაშობების, ტოტალიზატორისა და აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების გზით;

ბ) **ნებართვის მფლობელი** – „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი, რომელიც ახორციელებს საქმიანობას სათამაშო აპარატების, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი (გარდა

წამახალისებელი გათამაშებისა) თამაშობების, ტოტალიზატორისა და აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების გზით;

გ) **შერჩეული პირი** – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის (შემდგომში – შემოსავლების სამსახური) მიერ, სათამაშო ბიზნესის კონტროლის ელექტრონული სისტემის დანერგვისა და ოპერირების მიზნით, შერჩეული პირი;

დ) **GGR** – ნებართვის მფლობელის მიერ მოთამაშეებისაგან მიღებულ ფსონებსა და მოთამაშეზე გაცემულ მოგებას შორის სხვაობა (IN-OUT);

შენიშვნა: აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვის მფლობელის შემთხვევაში, GGR მოიცავს აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების ნებართვის მფლობელისთვის მის მიერ სისტემურ-ელექტრონული ფორმით მიწოდებულ აზარტულ ან/და მომგებიან თამაშ(ებ)ზე მოთამაშეების მიერ დადებულ ფსონებსა და მოთამაშეზე გაცემულ მოგებას შორის სხვაობას (IN-OUT);

ე) **მონიტორინგის მოწყობილობა** – კონტროლის ელექტრონულად განხორციელებისთვის საჭირო მოწყობილობა.

მუხლი 3. მომსახურების სახეები

შერჩეული პირის მიერ, „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 36^1 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, ხორციელდება შემდეგი მომსახურება:

ა) **POS ტერმინალის მოწყობა** – სპეციალური ელექტრონული მოწყობილობა, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს ტოტალიზატორის (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული თამაშისა) თითოეული ბილეთის ასახვას კონტროლის ელექტრონულ სისტემაში;

ბ) **სათამაშო სისტემის ან/და არსებითი პროდუქციის/მომსახურების პირველადი კვლევა/ავტორიზაციის სერტიფიკატის გაცემა** – ტექნიკური აუდიტი, რომლითაც განხორციელდება შერჩეული პირის მიერ სისტემის ან/და არსებითი პროდუქციის/მომსახურების კონტროლის ელექტრონულ სისტემასთან თავსებადობის შეფასება და მის საფუძველზე ავტორიზაციის სერტიფიკატის გაცემა. აღნიშნული პროცესი ხორციელდება ცალ-ცალკე, საქმიანობის შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

ბ.ა) სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობები;

ბ.ბ) სათამაშო აპარატების სალონ(ებ)ი, ტოტალიზატორები, გარდა ამ პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ.გ) არსებითი პროდუქცია/მომსახურება;

გ) **სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის ნებართვის მაძიებელთან/ორგანიზატორთან, ასევე აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვის მაძიებელთან/მფლობელთან კონტროლის ელექტრონულ სისტემასთან ინტეგრირებისათვის აღჭურვილობის განთავსება** – ტექნიკური მოწყობილობების/დანადგარების/სხვა საშუალებების განთავსება, რომლის მიზანია კონტროლის ელექტრონულ სისტემაში სათამაშო სისტემის ან/და არსებითი პროდუქციის/მომსახურების ინტეგრირება;

დ) **საოპერაციო საფასური** – კონტროლის ელექტრონული სისტემის ოპერირებისთვის, შერჩეული პირის მიერ გაწეული მიმდინარე მომსახურების საფასური;

ე) **სათამაშო აპარატის მონიტორინგის მოწყობილობის განთავსება** – კონტროლის ელექტრონულად განხორციელებისთვის საჭირო მოწყობილობის განთავსება;

ვ) **GSM ბარათის აქტივაცია** – მობილური სიგნალის გადასაცემად საჭირო საკომუნიკაციო

მოწყობილობის აქტივაცია.

მუხლი 4. ერთჯერადი საფასურები

1. ნებართვის მფლობელის/მაძიებლის მიერ სათამაშო სისტემის ან/და არსებითი პროდუქციის/მომსახურების პირველადი კვლევა/ავტორიზაციის სერტიფიკატის გაცემის საფასური – არაუმეტეს 35 000 ლარისა, საქმიანობის თითოეული მიმართულების მიხედვით.

2. სისტემურ-ელექტრონული აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მოწყობისა და თამაშების მიწოდების ნებართვის მფლობელთან/მაძიებელთან კონტროლის ელექტრონულ სისტემასთან ინტეგრირებისათვის აღჭურვილობის განთავსების საფასური – არაუმეტეს 100 000 ლარისა თითოეულ ნებართვის მფლობელზე/მაძიებელზე.

3. სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის მფლობელის/მაძიებლის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ სათამაშო აპარატებზე მონიტორინგის მოწყობილობის განთავსება (მათ შორის, ინსტალაცია) – არაუმეტეს 500 ლარისა ერთ სათამაშო აპარატზე.

4. GSM ბარათის აქტივაცია – არაუმეტეს 10 ლარისა ერთ სათამაშო აპარატზე.

5. POS ტერმინალის მოწყობა – არაუმეტეს 2500 ლარისა.

მუხლი 5. ელექტრონული კონტროლის სისტემის ოპერირების (საოპერაციო) საფასური

შერჩეული პირისათვის გადასახდელი საოპერაციო საფასურებია:

ა) სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების ნებართვის მფლობელებისთვის – არაუმეტეს GGR-ის 0.5%-ისა ყოველთვიურად;

ბ) თამაშების მიწოდების ნებართვის მფლობელებისთვის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მიწოდებულ აზარტულ ან/და მომგებიან თამაშ(ებ)ზე – არაუმეტეს GGR-ის 5%-ისა ყოველთვიურად;

გ) სათამაშო აპარატების სალონის ნებართვის მფლობელებისთვის – არაუმეტეს 3.5 ლარისა დღეში ერთ სათამაშო აპარატზე.

მუხლი 6. საფასურების გადახდის წესი

1. ამ წესის მე-4 მუხლში მითითებული საფასურების გადახდა ხორციელდება შერჩეული პირის მიერ მომსახურების გაწევამდე.

2. ამ წესის მე-5 მუხლში მითითებული საფასურების ოდენობა და გადახდის პერიოდულობა განისაზღვრება შერჩეულ პირსა და ნებართვის მფლობელს/მაძიებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.